

Bogpay.ge-ით სარგებლობის წესებში და პირობებში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დაემატოს **1.18. ქვეპუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“1.18. **საგადახდო აპლიკაცია** - Google Pay და Apple Pay საგადახდო აპლიკაცია, რომლითაც შესაძლებელია **ბარათით** გადახდის ოპერაციის ან განაღდების ოპერაციის ინიცირება;”
2. დაემატოს **1.19. ქვეპუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“1.19. **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალი** - **ბანკის** მიერ ემიტირებული **ბარათის** პირობების შესაბამისად, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიერ დაწესებული, მუნიციპალური ტრანსპორტით მზავრობის საფასურის **ბანკის** მიერ ემიტირებული **ბარათით** გადახდის შემთხვევაში მზავრობის შელავათიანი ტარიფით სარგებლობის შესაძლებლობა/ფუნქციონალი.”
3. დაემატოს **4.11. ქვეპუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“
 - 4.11. **მომხმარებელი**, რომელიც ფლობს **ბანკის** მიერ ემიტირებულ **ბარათს**, რომლის პირობების შესაბამისად აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს **შელავათით / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალით** უფლებამოსილია **Bogpay-ის** მეშვეობით (მათ შორის sCool Card შემთხვევაში მოსწავლის, ხოლო სტუდენტური ბარათის შემთხვევაში სტუდენტის) **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალი** გაავრცელოს პლასტიკურ **ბარათზე** ან **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათზე** (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემებზე). ამასთან:
 - 4.11.1. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** მიერ ემიტირებული **ბარათის** მფლობელ **მომხმარებელს** სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში ეკუთვნის **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალი**, შესაძლებლობა აქვს აღნიშნული **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალის** გაავრცელოს სხვადასხვა **ბარათზე**. ამასთან, ერთ **ბარათზე** შესაძლებელია მხოლოდ ერთი **შელავათის / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალის** გავრცელება.
 - 4.11.2. **შელავათის / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალის** გავრცელება შესაძლებელია რომელიმე, მხოლოდ ერთ, ან **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში დამატებულ **ბარათზე** (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემებზე) ან **პლასტიკურ ბარათზე**.
 - 4.11.3. **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში დამატებულ **ბარათზე** (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემებზე) **შელავათის / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალის** გავრცელების/გადატანის შემთხვევაში, თუ **ბარათი** დამატებულია რამდენიმე **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში, **მომხმარებელი** უფლებამოსილია **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალი** გაავრცელოს/გადაიტანოს იმ **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში დამატებულ **ბარათზე**, რომელიც ყველაზე ბოლო თარიღით (გარდა **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახული/დამატებული იმ **ბარათისა**, რომლიდანაც ხდება **შელავათის / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალის** გადმოტანა) შეინახა/დაიმახსოვრა **საგადახდო აპლიკაციის** საფულეში.“

წინამდებარე ქვეპუნქტების დამატების შესაბამისად შეიცვალოს დანარჩენი პუნქტების ნუმერაცია.